პროექტი

საქართველოს მთავრობის
დადგენილება N

2021 წლის ქ. თბილისი

„სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის N14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,.....) შეტანილ იქნეს ცვლილება და „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ :

1. <u>ამ წესის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„ **მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები**

1. ამ წესის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის:

ა) ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ წარმოებული/გადამუშავებული სურსათი უნდა იყოს უვნებელი და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ წარმოებული/გადამუშავებული სურსათი უნდა იყოს მიკვლევადი, რისთვისაც მას თან უნდა ახლდეს ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი;

2. ამ წესით განსაზღვრულ ოჯახური წარმოების სუბიექტზე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;
ბ) ბიზნესოპერატორის აღიარება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჰიგიენის წესები, გარდა ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა;

დ) მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესები.

3. ამ წესით განსაზღვრულ ოჯახური წარმოების სუბიექტზე, ვეტერინარული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფარგლებში, ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.“

2. <u>ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:</u>

„დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებული მსხილფეხა საქონელისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, ასევე გადამუშავებელი ხორცი და ხორცის პროდუქტები, იმ შემთხვევაში, თუ მსხვილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 5 სულს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებული წვრილფეხა საქონელისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, ასევე გადამუშავებელი ხორცი და ხორცის პროდუქტები, იმ შემთხვევაში, თუ წვრილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 15 სულს“;

3. <u>ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებული ღორისგან მიღებული გადამუშავებელი ხორცი და ხორცის პროდუქტები, იმ შემთხვევაში, თუ ღორის სულადობა არ აღემატება 10 სულს;“

4. <u>ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი „</u>

„ზ) არაუმეტეს 2,0 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე წარმოებული გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი სურსათი/ცხოველის საკვები;“

5. <u>ამ წესის მე-4 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„2. პირველი მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა არ გამორიცხავს ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ ამ მუხლის, „ა-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ რამდენიმე საკუთრების ერთდროულად ფლობას.“

6. <u>ამ წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„მუხლი 5. მოთხოვნები ოჯახური წარმოების სუბიექტის მიმართ

1. ოჯახური წარმოების სუბიექტი ვალდებულია რეგისტრაცია გაიაროს სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) და მიუთითოს მის მფლობელობაში არსებული საკუთრების სახეები ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად;

2. ამ წესის მე-3 მუხლის პირველი ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

ა) ჩანაწერების წარმოება ყველა იმ პირის შესახებ, რომელსაც ის აწვდის სურსათს, გარდა საბოლოო მომხმარებლისა;

ბ)სათანადო ღონისძიებების გატარება სურსათის დაბინძურების თავიდან აცილებისათვის;

გ) სურსათის წარმოება/გადამუშავებისათვის სათანადო სივრცე, ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ასევე მოხმარებისათვის მზა სურსათის და გამოსაყენებლი ინგრედიენტების სათანადო პირობებში და დაცულ სათავსოში შენახვა, ისე, რომ მზა სურსათი გამოცალკევებული იქნეს ინგრედიენტებისაგან;

დ) სურსათთან შეხებაში მყოფი ყველა საგანის, აღჭურვილობის და მოწყობილობის სისუფთავე;

ე) სურსათთან შეხებაში მყოფი ზედაპირების სისუფთავე;

ვ)სურსათის წარმოებისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სასმელი წყლის გამოყენება;

ზ)არასასმელი წყლის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გავლენას არ ახდენს სურსათის უვნებლობაზე, მაგალითად, როგორიცაა ხანძარსაწინააღმდეგო და დასუფთავების ზოგიერთი ქმედებებები;

თ)მყარი და თხევადი ნარჩენების გატანა;

ი)იატაკის სისუფთავე;

კ)იმ სურსათისათვის, რომელიც საჭიროებს გაგრილებას და შენახვას, პიკური მოხმარების გათვალისწინებით, სათანადო სამაცივრო სივრცის არსებობა;

ლ) საჭიროების შემთხვევაში, სურსათის სათანადო ტემპერატურით დამუშავებისა და შენახვის პირობების დაცვა;

მ) აუცილებლობის შემთხვევაში წყლის შენახვისა და მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობების არსებობა, რომლებიც დაცული იქნება დაბინძურებისაგან;

ნ)სათავსოს განათება იმგვარად, რომ სურსათის წარმოება/დამუშავება და სათავსოს დასუფთავება განხორციელდეს ეფექტურად;

ო)სურსათის გადაზიდვა სუფთა სატრანსპორტო საშუალებებით;

პ) რამდენადაც შესაძლებელია, მავნებლებისაგან პირველადი პროდუქტის და მზა სურსათის დაბინძურების თავიდან აცილება;

ჟ) სურსათის შესაფუთი მასალის სურსათთან უშუალო შეხებისას სურსათის დაბინძურების თავიდან აცილება;

რ) სურსათის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენება და შენახვა, სათანადო ინსტრუქციების შესაბამისად;

ს) სათავსოში ჭერზე ან კედლებზე კონდენსაციის თავიდან ასაცილებლად საკმარისი ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია.

3. ოჯახური წარმოების სუბიექტია ასევე ვალდებულია:

ა) შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული, სალიკვიდაციო და საიდენტიფიკაციო-სარეგისტრაციო ღონისძიებების განსახორციელებლად;

ბ) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელებისას;

გ) უზრუნველყოს ცხოველთა (მათ შორის, შინაურ ბინადარ ცხოველთა) კეთილდღეობა;

დ) უზრუნველყოს ცხოველთა გადარეკვა, გადაზიდვა და რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) უზრუნველყოს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) გადამდები დაავადებების, აგრეთვე ცხოველთა მასობრივი მოწამვლა-მოშხამვის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ზ)შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად; ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

თ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები იმ მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის მცენარის სიჯანსაღეს;

ი) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

კ) საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და მათ შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

ლ) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ - ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაუმუშავებელი და გადამუშავებული ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოებისათვის ცხოველის დაკვლა განახორციელოს სასაკლაოზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

მ) ბაზარზე განთავსებულ, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ - ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ გადაუმუშავებელ და გადამუშავებულ ხორცისა და ხორცის პროდუქტებს თან უნდა ახლდეს ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი და სასაკლაოს აღიარების/პირობით აღიარების ნომერი“.